ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 54

"20" თებერვალი 2024 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ფალიაშვილის ქუჩა №48-ში (საკადასტრო კოდი: №01.14.11.017.004) არსებული ავარიული შენობა-ნაგებობის ჩანაცვლების მიზნით შპს „ნიუ გრუპ ვაკე"-ს (ს/ნ. 405322155) მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების 39[1] მუხლისა და „ქალაქ თბილისში, ფალიაშვილის ქუჩა №48-ში (საკადასტრო კოდი: №01.14.11.017.004) არსებული ავარიული შენობა-ნაგებობის ჩანაცვლების მიზნით შპს „ნიუ გრუპ ვაკე"-ს (ს/ნ. 405322155) მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 31 იანვრის №24.152.172 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, შპს „ნიუ გრუპ ვაკე"-ს (ს/ნ. 405322155) მიმართ, მისამართზე - ქალაქ თბილისი, ფალიაშვილის ქუჩა №48-ში (საკადასტრო კოდი: №01.14.11.017.004) არსებული ავარიული შენობა-ნაგებობის ჩანაცვლების მიზნით, შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებაზე:

ა) მოხდეს მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტება 2.5-დან 4.9-მდე;

ბ) გაუქმდეს მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტის (კ-3) მინიმალური პარამეტრის დაცვის ვალდებულება;

გ) არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს სატრანსპორტო ზეგავლენის შეფასების წარმოდგენის გარეშე;

გ) არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს შენობა - ნაგებობის განთავსებისა და სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციების გათვალისწინების გარეშე;

დ) არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს ავტოსადგომების რაოდენობასთან არსებული მოთხოვნების ვათვალისწინების გარეშე;

ე) მიწის ნაკვეთს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსებისთვის დაუდგინდეს ინდივიდუალური პარამეტრები;

2. დაინტერესებულმა პირმა, მშენებლობის ნებართვის აღებამდე წარმოადგინოს ავარიული სახლის ყველა მესაკუთრის/ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის ყველა წევრის ან მათ მიერ უფლებამოსილი/მინდობილი პირის თანხმობა ავარიული სახლის ჩანაცვლების თაობაზე.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე